პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ერემეიშვილის ანგარიში 2025 წლის ნოემბერი - 2026 წლის ოქტომბერი გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №27 დადგენილების დანართის მე–6 მუხლის მე–4 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დადებითად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ერემეიშვილის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ერემეიშვილის ანგარიში 2025 წლის ნოემბერი - 2026 წლის ოქტომბერი გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ერემეიშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ერემეიშვილის ანგარიში 2025 წლის ნოემბერი - 2026 წლის ოქტომბერი გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით, „საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის N51 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა 2026 წლის ოქტომბრის თვეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

ბ) პროექტის მიღების მიზანი:

აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის N51 განკარგულების აღსრულება.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას არ ახდენს.

გ) პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილება.

4. განკარგულების პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი პეტრე ადამაძე.

5. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ერემეიშვილი.

6. განკარგულების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარადგენს:

ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერი - დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი